ქ. მარქსის სახელ. ... ბიბლიოთეკა

ათ-თხუთმეტ დღეში ავივლოთ თავთავიანი კულტურების მოსავალი

მაღალი წარმადობით გამოვიყენოთ თვითეული მანქანა და მექანიზმი

პროლეტარეგო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТ— ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

12 ივნისი სამშაბათი 1973 ფასი 2 კაპ.

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან ● № 136 (15653)

დროზე, უდანაკარგოდ!

მოსავალი ის არის, რასაც ბელელში შევიტანთ!

საქართველოს მექანიზატორები მხურვალედ უჭერენ მხარს უკრაინელ კომბაინერთა ინიციატივას



პარტიისა და ხალხის ურღვევი ერთიანობის დემონსტრაცია

გვესაუბრება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ამხ. მ. პ. გიორგაძე

მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების არჩევნებისათვის მზადებასთან დაკავშირებით საკადრისს კორესპონდენტმა სთხოვა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანს მ. პ. გიორგაძეს დაეხასიათებინა ახლანდელი საარჩევნო კამპანიის მსვლელობა.

— მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების არჩევნები, — განაცხადა მ. პ. გიორგაძემ, — ყოველთვის იყო დიდმნიშვნელოვანი პოლიტიკური მოვლენა საბჭოთა ხალხის ცხოვრებაში. უკვე დიდი ხანია ტრადიციად იქცა, რომ საარჩევნო კამპანია ჩვენს ქვეყანაში — ეს არის საშინაო და საგარეო პოლიტიკის პრობლემების საყოველთაო-სახალხო განხილვა, საქმიანი საუბარი სამეურნეო და სოციალურ-კულტურული მშენებლობის საპირბოროტო საკითხებზე.

სახელმწიფო ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების მომავალი არჩევნები ყველა მოკავშირე და ავტონომიურ რესპუბლიკაში მიმდინარეობს ისეთ ვითარებაში, როცა ჩვენი ქვეყნის მშრომელები კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით წარმატებით ახორციელებენ სკკპ XXIV ყრილობის მიერ დასახულ დიად ამოცანებს. ქარხნებში, ფაბრიკებში, მშენებლობებზე, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში მიმდინარეობს დაძაბული მრძოლა ხუთწლედის მესამე, გადამწყვეტი წლის გეგმების წარმატებით შესრულებისათვის. საბჭოთა ადამიანები ერთსულოვნად უჭერენ მხარს სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1972 წლის დეკემბრის პლენუმის გადაწყვეტილებებს, რომელშაც დასახა საბჭოთა ეკონომიკის შემდგომი განვითარების ღონისძიებანი, აჩაენენ სოციალისტურ შეჯიბრებას მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის პროდუქციის, მოსახლეობისათვის საქონლის გამოშვების გასაღიდებლად.

კომუნიზმის წარმატებითი მშენებლობის მტკიცე გარანტიაა მშვიდობის შენარჩუნება მთელ მსოფლიოში, ახალი ომის საფრთხის აღმოფხვრა. ჩვენი ქვეყნის მოსახლეობა ფართოდ გამოეხმაურა სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1973 წლის აპრილის პლენუმის გადაწყვეტილებებს. საბჭოთა ხალხი მხურვალედ იწონებს პარტიის ლენინურ საგარეო პოლიტიკას, აღნიშნავს ლეონიდ ილიას-ძე ბრეჟნევის დიდ პირად წვლილს მშვიდობის განმტკიცების საქმეში. სკკპ XXIV ყრილობის მიერ შემუშავებული მშვიდობის პროგრამის რეალიზაციისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ვიზიტის შედეგებს და მის მომავალ ვიზიტს ამერიკის შეერთებულ შტატებში.

ამრიგად, წლევანდელი საარჩევნო კამპანია, რომელიც მიმდინარეობს კომუნისტური მშენებლობის საქმეში ახალი წარმატებების ვითარებაში, საერთაშორისო დაძაბულობის შემდგომი შენელების პირობებში, ხელს უწყობს მასების პოლიტიკური აქტივობის კიდევ უფრო მეტ ამაღლებას. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის გარშემო მოკავშირეობის განმტკიცებას.

უპასუხა რა კითხვაზე იმის შესახებ, თუ როგორ ვითარდებოდა ამ ბოლო დრის კანონმდებლობა საბჭოებისა და მათი დეპუტატების უფლებამოსილების შესახებ, მ. პ. გიორგაძემ თქვა: საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია დღენიადაგ ზრუნავს მშრომელთა დეპუტატების საბჭოების საქმიანობის გაუმჯობესებისათვის, მათი აქტივობის გადიდებისათვის, იმისათვის, რომ მათ უფრო სრულად გამოიყენონ თავიანთი უფლებები სამეურნეო და სოციალურ-კულტურული მშენებლობის საკითხთა გადაჭრაში. როგორც ცნობილია, ამ ბოლო წლებში სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა მიიღო მთელი რიგი დადგენილებანი, რომლებიც ითვალისწინებენ რაიონული, საქალაქო, სასოფლო და სადაბო საბჭოების მუშაობის შემდგომ გაუმჯობესებას. ამ გადაწყვეტილებათა საფუძველზე სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა გამოსცა ბრძანებულებანი, რომლებითაც არსებითად გაფართოვდა ადგილობრივი საბჭოების უფლებანი. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებათა საფუძველზე ყველა მოკავშირე და ავტონომიურ რესპუბლიკაში შეიმუშავეს და მიიღეს კანონები, რომლებშიც გადაწყვეტილია კომუნისტური მშენებლობის თანამედროვე ეტაპზე საბჭოების საქმიანობის კონკრეტული საკითხები.

ახლაც კანონებმა შესაძლებლობა მისცა ხელისუფლების ადგილობრივ ორგანოებს უფრო სრულად გამოიყენონ თავიანთი უფლებამოსილებანი, ახლა საბჭოები უკვე ხელმძღვანელობენ მათდამი დაკვეთილ საწარმოებსა და ორგანიზაციებს, მოსახლეობის საყოფაცხოვრებო და სოციალურ-კულტურულ მომსახურებას. გაიზარდა მათი ინიციატივა საგვგმ, საფინანსო, მიწის და სხვა საკითხთა გადაჭრაში.

არსებით გავლენას ახდენენ ადგილობრივი საბჭოები ბუნებრივ სიმდიდრეთა რაციონალური გამოყენებისა და დაცვის საკითხების გადაჭრაზე, ამასთან დაკავშირებით მიხდა შეგახსენო, რომ გასული წლის სექტემბერში სსრ კავშირის უმაღლესმა საბჭომ განიხილა საკითხი ბუნების დაცვის შემდგომი გაუმჯობესებისა და ბუნებრივი რესურსების რაციონალური გამოყენების ღონისძიებათა შესახებ. უფრო ადრე მიღებული იყო მიწისა და წყლის კანონმდებლობის საფუძვლები. ეს გვიჩვენებს, თუ რა დიდ მნიშვნელობას ანიჭებს საბჭოთა სახელმწიფო ბერემის დაცვის საკითხებს. საბჭოებს, როგორც სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებს, სრული პასუხისმგებლობა ეკისრებათ მათდამი დაქვემდებარებულ ტერიტორიაზე ბუნებრივ სიმდიდრეთა დაცვისათვის.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა ამას წინათ მიიღო გადაწყვეტილება, რომ ჩვენი საზოგადოებრიობის განსახილველად გამოაქვეყნოს სახალხო განათლების შესახებ კანონმდებლობის საფუძვლების პროექტი. ამ აქტში ნავარაუდევია განისაზღვროს ამ დიდმნიშვნელოვან დარგში საბჭოების უფლებამოსილებათა ფართო წრე.

საბჭოების საქმიანობის შემდგომი გაუმჯობესების, აღმსრულებელი ორგანოების საბჭოებისადმი ანგარიშვალდებულების პრინციპის თანმიმდევრული განხორციელების, დეპუტატთა ავტორიტეტისა და აქტივობის, ამომრჩევლთა წინაშე მათი პასუხისმგებლობის ამაღლების საქმეში განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მიერ 1972 წლის სექტემბერში მიღებულ კანონს სსრ კავშირის მშრომელთა დეპუტატების საბჭოების დეპუტატთა სტატუსის შესახებ.

ეს კანონი, რომლის აუცილებლობა აღინიშნა სკკპ XXIV ყრილობის გადაწყვეტილებებში, მკაფიოდ გვიჩვენებს დეპუტატის, როგორც ხალხის სრულუფლებიანი წარმომადგენლის, როლს. კანონი ხელმძღვანელობს იმით, რომ საბჭოების მიერ საბელმწიფო ხელისუფლების განხორციელებას საფუძვლად უდევს თვითეული დეპუტატის აქტიური მონაწილეობა საბჭოს მუშაობაში და ითვალისწინებს იმ ღონისძიებათა მთელ ერთობლიობას, რომლებიც მიზნად ისახავენ დეპუტატთა ინიციატივის ამაღლებას, მართვის ორგანოებისადმი მათი კონტროლის გაძლიერებას.

დეპუტატის მუშაობას საარჩევნო ოლქში კანონი მიიჩნევს საბჭოს ეფექტიანი საქმიანობის, მოსახლეობასთან მისი კავშირის განმტკიცების აუცილებელ პირობად. საბჭოს დეპუტატს მუდმივი კავშირი აქვს თავის ამომრჩევლებთან, მშრომელთა კოლექტივებთან, მონაწილეობს მოსახლეობის დარაზმვაში ამომრჩევლთა განაწესების შესრულებისათვის, ადგენს მათი განხორციელებისათვის. ადგილობრივი საბჭოს დეპუტატი მოგალა თავისი მუშაობისა და საბჭოს მუშაობის ანგარიში ჩაბაროს ამომრჩევლებს: 1972 წელს ამომრჩევლებს ანგარიში ჩაბარა დეპუტატთა 98,8 პროცენტმა.

აგრეთვე უნდა აღინიშნოს, რომ კანონი სტატუსის შესახებ არა მარტო აწესებს საბჭოების დეპუტატების უფლებამოსილებას, არამედ განსაზღვრავს კიდევ სახელმწიფო ორგანოებისა და თანამდებობის პირთა მოვალეობებს დეპუტატების მიმართ. სახელმწიფო ორგანოები ხელს უწყობენ დეპუტატს მისი საქმიანობის განხორციელებაში, ხრუნავენ, რათა უმაკრესად იყოს დაცული კანონმდებლობით დაწესებული გარანტიები, რომ თვითეული დეპუტატი დაუბრკოლებლად ახორციელებდეს თავის უფლებამოსილებას.

კანონი ითვალისწინებს, რომ საბჭოების დეპუტატებს აქვთ დეპუტატის მოწმობა და სამკერდე ნიშანი. ახლა რესპუბლიკებში დაწესებულია ადგილობრივი საბჭოების დეპუტატთა სამკერდე ნიშნები და მოწმობები. ისინი გადაეცემათ 17 ივნისს არჩეულ დეპუტატებს.

კანონმა დეპუტატთა სტატუსის შესახებ არსებითი გავლენა მოახდინა მოქმედი მოქმედების ადგილობრივი საბჭოების დეპუტატთა მუშაობის გაუმჯობესებაზე. მიტად საჭიროა, რომ დეპუტატები, რომლებსაც აირჩევენ მომავალ არჩევნებში, აგრეთვე უნარიანად იყენებდნენ მათთვის კანონით მინიჭებულ უფლებებს, ასრულებდნენ დაკისრებულ მოვალეობებს. ამაზე უწინარეს ყოვლისა დამოკიდებულია იქნება საბჭოს წარმატებითი საქმიანობა.

კითხვაზე, თუ როგორ მიმდინარეობს მზადება მომავალი არჩევნებისათვის, რა ამოცანები დგას ამჟამად საარჩევნო კომისიებისა და ადგილობრივი საბჭოების, აღმასკომების წინაშე, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანმა თქვა, რომ ადგილობრივი საბჭოების, ისევე როგორც საბჭოთა სახელმწიფოს ყველა წარმომადგენლობითი ორგანოს არჩევნები, ეწყობა ფარული კენჭისყრით საყოველთაო, თანასწორი და პირდაპირი საარჩევნო უფლების დემოკრატიული პრინციპების საფუძველზე. არჩევნების მოწყობის წესს განსაზღვრავენ მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების კონსტიტუციები და არჩევნების დებულებანი. ადგილობრივი საბჭოების ახლადფილი არჩევნები ყველა რესპუბლიკაში დანიშნულია ერთ დღეს — ვვირას, 17 ივნისს. ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე არჩეულ იქნება 50 ათასზე მეტი ადგილობრივი საბჭო. ამ საბჭოების არჩევნების მოსაწყობად შექმნილია 2.193 ათასი საარჩევნო ოლქი, და, მაშასადამე, ამდენივე დეპუტატი იქნება არჩეული ხელისუფლების ადგილობრივ ორგანოებში.

ისევე როგორც წინათ, საარჩევნო კამპანია მიმდინარეობს არჩევნების ორგანიზაციაში მშრომელთა უადრესად ფართო და უშუალო მონაწილეობით. საკმარისია ითქვას, რომ მარტო საარჩევნო კომისიებში ახლა მუშაობს საზოგადოებრივი ორგანიზაციების, მშრომელთა საზოგადოებებისა და კოლექტივების 9 მილიონზე მეტი წარმომადგენელი. მილიონობით საბჭოთა ადამიანი აქტიურად მონაწილეობს საარჩევნო კამპანიაში აგიტატორად, პროპაგანდისტად, ნდობით აღჭურვილ პირად.

უნდა აღინიშნოს, რომ საარჩევნო კამპანიის დაწყებამდე ადგილობრივი საბჭოების აღმასკომებმა ანგარიში ჩააბარეს მოსახლეობას. კრებებს, სადაც მოეწყო ეს ანგარიშები, დაესწრო 47 მილიონზე მეტი კაცი, ესე იგი თითქმის ყოველი მესამე ამომრჩეველი.

ამჟამად საარჩევნო ოლქებში დამთავრდა დეპუტატობის კანდიდატთა რეგისტრაცია. ესენი არიან ნამდვილად საუკეთესო ადამიანები, რომლებსაც მხარს უჭერენ მშრომელები, დამსახურებული ავტორიტეტი აქვთ თავიანთ ამომრჩეველებში. მათ შორის არიან საბჭოთა ხალხის ყველა ფენის წარმომადგენლები, რეგისტრირებულ კანდიდატთა 67,2 პროცენტს შეადგენენ უშუალოდ წარმოებაში დასაქმებული მუშები და კოლმეურნეები. დეპუტატობის კანდიდატებად დასახელებული არიან საწარმოების, დაწესებულებების, ორგანიზაციების ხელმძღვანელები, სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგის სპეციალისტები, მეცნიერების, კულტურის, განათლებისა და ჯანმრთელობის დაცვის მუშაკები, პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული, კომკავშირული მუშაკები, უმაღლესი და საშუალო სპეციალური სასწავლებლების მოსწავლეები, სამხედრო მოსამსახურეები. დეპუტატობის კანდიდატთა შემადგენლობაში თითქმის ნახევარს ქალები შეადგენენ, კანდიდატთა 28 პროცენტზე მეტს — 30 წლამდე ასაკის ახალგაზრდები.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია, ისევე როგორც ყოველთვის, არჩევნებში გამოდის უპარტიოებთან ერთიანი სახალხო ბლოკით. რეგისტრირებულ კანდიდატთა შორის სკკპ წევრები და წევრობის კანდიდატები შეადგენენ 43,8 პროცენტს, უპარტიოები — 56,2 პროცენტს. მილიონზე მეტი კანდიდატი არ ყოფილა წინა მოწვევის შესაბამისი ადგილობრივი საბჭოების დეპუტატი. ეს მოწმობს, რომ ხელისუფლების ორგანოების მუშაობაში ფართოდ ებმებიან მუშაობა, კოლმეურნეობა, ინტელიგენციის სულ ახალ-ახალი წარმომადგენლები.

დეპუტატობის კანდიდატთა შორის არიან ჩვენი სამშობლოს ყველა ეროვნების წარმომადგენლები. სსრ კავშირის ხალხთა ძმური მეგობრობა, რომელიც ემყარება საბჭოთა კავშირის სოციალისტური ერების უმეიდროეს ერთობას, საბჭოთა მრავალეროვანი სახელმწიფოს ძლიერების საფუძველია.

ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების წინაშე საქმიანობის ფართო ასპარეზია გადაშლილი. მინდა ეკუთვნოდეს ... ...

კომკავშირული აქტივის კრების მონაწილენი „კომუნისტის“ რედაქციაში.

ახლა მთავარია საქმე!

ასეთია მათი ფიქრები და სურვილები

საქართველოს კომკავშირული ორგანიზაციის აქტივის კრებამ თავისი ორდღიანი მუშაობა დაამთავრა... მაგრამ მისი ერთგვარი პრაქტიკული გაგრძელება იყო კვირას აქტივის კრების მონაწილეთა სტუმრობა, ე. წ. საქმიანი შეხვედრები ჩვენი რესპუბლიკის დედაქალაქის ორგანიზაციებსა და საწარმოებში პარტიის რაიონულ კომიტეტებში, სამინისტროებსა და უწყებებში, რედაქციებში...

კომკავშირული აქტივის კრების მონაწილეთა ერთი ჯგუფი „კომუნისტის“ რედაქციას ესტუმრა.

სარედაქციო კოლეგიის წევრებმა თავიანთ ახალგაზრდა სტუმრებს მოუთხრეს ჩვენი პრესის, განსაკუთრებით „კომუნისტის“ უახლოეს ამოცანებზე, რომლებიც გამომდინარეობენ სკკპ XXIV ყრილობის გადაწყვეტილებებიდან, გაზეთის მუშაობის სპეციფიკაზე, მკითხველთა ურთიერთობასა და ქალაქისა და სოფლის კორესპონდენტებთან მუშაობაზე, იმაზე, თუ როგორ მდიდრდება სარედაქციო ფოსტა.

ახალგაზრდებთან საუბარი ყოველთვის საინტერესოა, განსაკუთრებით მაშინ, როცა ისინი დიდმნიშვნელოვან, საქეიფო ამბებზე მსჯელობენ, როცა უშუალო მონაწილენი არიან ჩვენი დიდი ცხოვრებისა, რომელშიც კომკავშირს, როგორც პარტიის სიამედო რეზერვსა და თანაშემწეს, მეტად პასუხსაგები ამოცანები აქვს დაკისრებული.

სწორედ ამ ამოცანებზე იყო საქმიანი და პრინციპული მსჯელობა კომკავშირული აქტივის კრებაზეც. და, ბუნებრივია, ამ კრების შედეგებზე, მის მიერ შემუშავებულ, დასახულ გზებზე, აქ მიღებულ შთაბეჭდილებებზე და იმაზე, თუ როგორ გამოიყენებენ ყოველივე ამას ადგილებზე, პრაქტიკულ მუშაობაში, გიამბართა საუბარიც.

— როცა დარბაზში უფროსი თობოლ წარმომადგენლებიც დავინახე, — ამბობს ქუთაისის საწარმოო-სამკერვალო გაერთიანება „გელათის“ კომკავშირის კომიტეტის მდივანი ნანი თავაძე, — კიდევ ერთხელ დავრწმუნდი, თუ როგორ უყვართ და აფასებენ ჩვენში ახალგაზრდობას, თუ რა დიდ ზრუნვას იჩენს პარტია კომკავშირისადმი. კომკავშირული აქტივის კრებაზე მოვიდნენ რესპუბლიკის ხელმძღვანელები, სამინისტროების, უწყებების, სხვადასხვა ორგანიზაციათა მეთაურები, თვალსაჩინო მეცნიერები და კულტურის მოღვაწენი, შრომისა და ბრძოლის ვეტერანები, ძველი ბოლშევიკები და კომკავშირელები... ყოველივე ამან მეტი სიამაყე განგვაცდევინა, ძალა შეგვმატა. კომკავშირული ორგანიზაციებისადმი პარტიული ხელმძღვანელობისა და დახმარების გაუმჯობესებისათვის ზრუნვით იყო გამსჭვალული მთელი მოხსენებაც და კამათიც.

ნ. თავაძემ რედაქციას სთხოვა, რომ „კომუნისტმა“ ხშირად გამოაქვეყნოს კომკავშირისადმი პარტიული ხელმძღვანელობის საკითხებზე როგორც თეორიული, ისე პრაქტიკული ხასიათის წერილები.

— აქტივის კრებამ დიდი ადგილი დაუთმო მეცხრე ხუთწლედის გეგმების შესასრულებლად გაშლილ სოციალისტურ შეჯიბრებაში ახალგაზრდობის მონაწილეობის, მასში კომკავშირული ორგანიზაციების როლისა და პასუხისმგებლობის საკითხებს, — საუბარში ებმება ქუთაისის საკონდიტრო ფაბრიკის კომკავშირის კომიტეტის მდივანი ლიანა კუტუბაძე. იგი ლაპარაკობს თავის საწარმოზე, რომელიც მხოლოდ მესამე წელია არსებობს, გვაცნობს, რომ ეს ახალი საწარმო ძირითადად ახალგაზრდულია, 450 მუშა-მოსამსახურიდან 179 კომკავშირელია. ახალგაზრდობაში ფართოდ არის გაშლილი სოციალისტური შეჯიბრება, მოწყობილია სტენდები და სხვადასხვა თვალსაჩინოებანი. მორალურ სტიმულებთან ერთად დაიწესეს ფულადი პრემიები. გაძლიერეს სოფლისადმი შეფიო დახმარებაც. მხოლოდ გულისტკივილით თქვა, რომ საწარმოს მუშებს ტრანსპორტის ცუდი მომსახურების გამო უჭირთ, განსაკუთრებით კი ღამის ცვლის მუშებს.

მცხეთის რაიონის კომკავშირული ორგანიზაციის წარმომადგენელი, საქართველოს ზონალური სამეცნიერო-საკვლევი მანქანათა საგამოცდო სადგურის ინჟინერი ვახტანგ პაპავაც სოციალისტური შეჯიბრების ორგანიზაციის საკითხებზე ლაპარაკობს. იგი მოგვითხრობს აქტივის კრების შთაბეჭდილებებზე და იმაზე, თუ როგორ აკმაყოფილებს ამ კრების მოთხოვნებს, მათს სადგურში გაშლილი შეჯიბრება. იგი ამბობს, რომ სოციალისტურ შეჯიბრებაში გამოიწვიეს ერევნის მანქანათა საგამოცდო სადგურის კოლექტივი, რომ კარგი ვალდებულებები აკისრეს როგორც ცალკეულმა ლაბორატორიებმა, ისე ყველა თანამშრომელმა. კომკავშირელთა ინიციატივით და მათი უშუალო მონაწილეობით შეიქმნა სპეციალური ხელსაწყო, რომელიც მნიშვნელოვნად გაამარტივებს ვენახების რიგთა შორის დამუშავებას, მოაწყეს მოწინავეთა სტენდი; აქ ყოველი კვარტალის მიხედვით გამოაკრავენ შეჯიბრებაში გამარჯვებულთა ფოტოსურათებს. როცა შეჯამეს პირველი კვარტალის შედეგები, აღმოჩნდა, რომ არც ერთი კომკავშირელი არ მოხვედა გამარჯვებულთა შორის. ამან ღრმად ნაფიქრა კომკავშირული ორგანიზაცია.

— „საშუალო სტუდენტის“ პრობლემა“, რომელზეც აქტივის კრებაზე თქვა, ჩვენც გვაღელვებს, — თქვა ქუთაისის პედაგოგიური ინსტიტუტის ფილოლოგიის ფაკულტეტის სტუდენტმა თამარ ღვინინაძემ, — ჩვენს ინსტიტუტში მხოლოდ 441 სტუდენტია ფრიადოსანი და კარგოსანი. დიდ უმრავლესობას საშუალო შეფასება აქვს. თუმცა მთგან თითქმის ნახევარი ისეთია, რომ ერთი ან ორი საგანი აქვთ, კომკავშირულმა ორგანიზაციამ გადაწყვიტა განსაკუთრებით გავაძლიეროთ მუშაობა საშუალო მოსწრების სტუდენტებთან. ვფიქრობთ სკოლებშიც უნდა მიხედოს კომკავშირმა ამ პრობლემას, „საშუალო მოსწავლის“ პრობლემას, რადგან სწორედ იქიდან მოდის ეს საშუალო დონე, გრძელდება ინსტიტუტში და შემდეგ ცხოვრებაშიც საშუალო ცოდნის სპეციალისტები მრავლდებიან, გაერთიანება „საქართველოს ... ქარხნის ახალგაზრდობის შრომასა და ცხოვრებაზე, პირველადი კომკავშირული ორგანიზაციის გეგმებზე საინტერესოდ მოგვითხრო ამ საწარმოს ინჟინერ-კონსტრუქტორმა მურად მუქერიამ.

შეხვედრის მონაწილენი ხაუბრობენ აქტივის კრების მოხსენებაში და რეზოლუციაში წამოყენებულ მთელ რიგ პრობლემებზე, დებულებებზე, რომლებიც ამ ეტაპზე საქართველოს კომკავშირული ორგანიზაციების მოღვაწეობის კონკრეტული სახელმძღვანელოა: პატრიოტული და ინტერნაციონალური აღზრდა; წარსულის მავნე გადმონაშთების დაძლევა; სოციალისტური თანაცხოვრების წესების მტკიცედ დაცვა; პირველადი კომკავშირული ორგანიზაციების ბრძოლიხუნარიანობის ამაღლება და თვით ამ ორგანიზაციათა ხელმძღვანელების — მდივნების, ბიუროებისა და კომიტეტების წევრების პასუხისმგებლობა და პირადი მაგალითის ძალა.

— ძალიან მინდა მალე მოეთხრო ჩემს მეგობრებსა და ამხანაგებს აქტივის კრებაზე და საერთოდ ამ დღეებში თბილისში ნახული და განცდილი. შთაბეჭდილებებით სავსე ვართ. რამდენი ახალი რამ გავიგეთ, შეეტყვით და ამ კოლექტიურად გავიაზრეთ. მე პირადად ძალა შემმატა ჩვენმა კომკავშირულმა აქტივმა და ამ მომატებული ძალით ვიმრომებ ჩემს სამუშაო უბანზე, ჩემს კომკავშირულ ორგანიზაციაში ჩემს მეგობრებთან ერთად, რომელთაც ჩასვლისთანავე ამ ენთუზიაზმს გადავცემ.

ქუთაისმრეწვავეჩრობის კომკავშირული ორგანიზაციის მდივნის თამული ბასილაძის ეს სიტყვები შეხვედრის ყველა მონაწილეს ეკუთვნის.

გამოთქვა ბევრი საყურადღებო წინადადება, რომ ჩვენმა პრესამ და განსაკუთრებით გაზეთმა „კომუნისტმა“ უფრო შინაარსიანად გააშუქოს კომკავშირული ცხოვრება, მისი წარმომადგენლები უფრო ხშირად მივიდნენ კომკავშირულ ორგანიზაციებში, რედაქციამ შემოიკრიბოს რაც შეიძლება მეტი ახალგაზრდა მუშკორი და სოფლკორი.

ახალგაზრდა სტუმრებს გადაეცათ „კომუნისტის“ სამახსოვრო საჩუქრები.

ალ. ზურაშვილი.



სურათზე: რესპუბლიკური კომკავშირული აქტივის კრების მონაწილეები, რომლებიც „კომუნისტის“ რედაქციას ესტუმრნენ. (მარცხნიდან) პირველ რიგში, სხვადან ქუთაისის სამკერვალო გაერთიანება „გელათის“ კომკავშირის კომიტეტის მდივანი ნანი თავაძე, ლითოფონის ქარხნის მუშა, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი ეუფუნა ბრმბაძე, ქუთაისის № 4 სამკერვალო ფაბრიკის მკერავი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი მედეა ვახტანგაძე, ქუთაისის სამედიცინო სასწავლებლის კომკავშირული ორგანიზაციის მდივანი იზოლდა რუხაძე, ქუთაისის საკონდიტრო ფაბრიკის კომკავშირის კომიტეტის მდივანი ლიანა კუტუბაძე, ქუთაისის მედიგოგიური ინსტიტუტის სტუდენტი თამარ ღვინინაძე, სამტრედიის რაიონის ზონალური სამეცნიერო-საკვლევი მანქანათა საგამოცდო სადგურის ინჟინერი ვახტანგ პაპავა, მცხეთის რაიონის ძალისის კოლმეურნეობის კომკავშირული ორგანიზაციის ხელმძღვანელი ეთერ კაზობერაშვილი, თბილისის № 3 სამკერვალო ფაბრიკის მკერავი მარიკა კბილაშვილი, სამტრედიის რაიონის სოფელ ნოღას კოლმეურნეობის აგრონომი ნუგზარ ბრიგოლია, მცხეთის ტრიკოტაჟის წარმოების კომკავშირის კომიტეტის მდივანი ელენა ხვედიაშვილი, საქართველოს კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის ლექტორთა ჯგუფის ხელმძღვანელი თენგიზ ცქიტიშვილი, მცხეთის რაიონის ნატახტარის საბჭოთა მეურნეობის მუშა მაკვალა ბადაბაძე, სამტრედიის მექანიკური ქარხნის ინჟინერ-კონსტრუქტორი მურად მუქერია, ქუთაისმრეწვავეჩრობის კომკავშირული ორგანიზაციის მდივანი თამარ ბასილაძე.

Б. БОГОЯВЛЕНСКИЙ ფოტო.

ადგილობრივი საბჭოების არჩევნების წინ

დამაფიქრებელი გულდამშვიდება

გოქლოვი ამოშრჩეველთა კლუბის კარებზე

სერი ერთ-ერთი დიდი სოფელია ონის რაიონში. იგი მდინარე რიონის მარჯვენა სანაპიროზე მდებარეობს. საავტომობილო გზის ხელმარცხნივ ყურადღებას იპყრობს სამმაულო ომში დაღუპულთა ობელისკი. იქვეა ლოზუნგებითა და პლაკატებით გაფორმებული კულტურის სახლი. საღამოობით აქ დიდძალი ამოშრჩეველი იყრის თავს. ისინი უდიდესი ინტერესით ეცნობიან დეპუტატობის კანდიდატების ცხოვრება-მოღვაწეობას, ისმენენ ლექციებსა და მოხსენებებს მათთვის საინტერესო საკითხებზე. ამოშრჩეველთა კლუბში მოწყობილია საარჩევნო ლიტერატურის გამოფენა, რეგულარულად მორიგეობენ აგიტატორები. ხორის საარჩევნო უბანი, სადაც სასოფლო საბჭოს 25 დეპუტატობის კანდიდატი იყრის კენჭს, პოლიტმასობრივი მუშაობის ნამდვილი ცენტრია.

ადგილობრივი საბჭოების არჩევნებისათვის დიდი გულმოდგინებითა და პოლიტიკური აღმავლობით ემზადებიან უწერის, ირის, პეპილეთის, ღვრის და მთელი რიგი სხვა საარჩევნო უბნების მშრომელები. ბოლო დღეებში უფრო საინტერესო გახდა აგიტატორთა საქმიანობა. მათ კიდევ უფრო გაძლიერეს კომუნისტებისა და უპარტიოებს ბლოკის კანდიდატების სასარგებლო აგიტაცია, ეწყობა შეხვედრები. საარჩევნო უბნებში უკვე მოწყობილია ხმის მისაცემი ტიხარები, დაგმესულია საარჩევნო ყუთები, სრულ ეწყოდა ყველაფერი, ხოლო სასოფლო საბჭოს დეპუტატებად ასარჩევ კანდიდატებზე წარმოდგენაც არა აქვს.

არჩევნებისათვის მზადების თაობაზე მიღებული პირველი შთაბეჭდილებები მეტად უსიამოვნო იყო, მაგრამ იმედს არ ვკარგავდა. ვთქვი, აი მივალ სოფლის ცენტრში მოთავსებულ საარჩევნო უბანში და შთაბეჭდილებები აქ შემეცვლებათქო: ამ იმედით განვაგრძე გზა.

„ბარის საარჩევნო უბანი № 26“. — ამ უბანში — გვეუბნება კოლმეურნეობის პარტიული ორგანიზაციის მდივანი ვ. ითბაშვილი, — რაიონული საბჭოს ორი და ბარის სასოფლო საბჭოს 15 დეპუტატობის კანდიდატი იყრის კენჭს. ყველა ისინი ჩვენი სოფლის გამოჩენილი, აქტიური და ცნობილი ადამიანები არიან და ეკვი არ არის ბარელები მათ ერთსულოვნად მისცემენ თავიანთ ხმასო.

დავინტერესდით საარჩევნო უბნის მზადყოფნით. ვეცადეთ უბანში შესვლა მაგრამ ნურას უკაცრავად, იგი ჩარაზული დაგვხვდა. გასაღები მოვიკითხეთ, ჯერ გვითხრეს დამლაგებელს აქვსო, მერე საიდანღაც მოიტანეს. კარი გაჯაღეთ და აღმოვჩნდით კოლმეურნეობის კეთილმოწყობილ, სკამდამტვრეულ კლუბში. არც ტიხარებია, არც არჩევნებისათვის საჭირო სხვა ტექნიკური საშუალებები. თვალსაჩინო საგიტაციო მასალებზე ლაპარაკი ხომ ზედმეტია. არც დეპუტატობის კანდიდატების რეგისტრაციის სია აქვთ გამოკრული. შემოღებული არ არის უბანში საუბნო-საარჩევნო კომისიის წევრთა მორიგეობა. საარჩევნო უბნის მოსაყოფად და დეპუტატობის კანდიდატები სასარგებლო აგიტაციის გასაჩაღებლად, რომ იტყვიან, აქ თითითოზეც არ დაუკრავთ მეტისმეტად გაგვიოცა საარჩევნო უბნის კომისიის თავმჯდომარის, ძველი, გამოცდილი, მუშაკის ვ. გიორგობიანისა და წევრების უმოქმედობამ, ამ დიდმნიშვნელოვანი პოლიტიკური კამპანიისადმი უპასუხისმგებლო დამოკიდებულებამ.

ამომრჩეველთა კლუბის საქმიანობით დავინტერესდით. იგი საარჩევნო უბნის მახლობლად მდებარე, ახლადაგებული ორსართულიანი შენობის პირველ სართულზე მოუწყვიათ. მოუწყვიათო, ვამბობთ, თორემ ეს რა მოწყობაა. მხოლოდ აბრაა გამოკრული და მეტი თითქმის არაფერი. ამომრჩეველთა კლუბს აქაც ბოქლომი ედო. გვითხრეს, კლუბში ყველაფერი წესრიგშია, შემოღებულია აგიტატორთა მორიგეობა, გამოფენილია საარჩევნო ლიტერატურა, დღეს მორიგე აგიტატორი თავის დროზე მოვიდოო, მაგრამ ბიბლიოთეკის გამგე ჟ. ციხისელი, რომელიც ამომრჩეველთა კლუბის გამგის მოვალეობასაც ასრულებს, სამუშაოზე არ გამოცხადდა, კოლმეურნეობის შორეულ ნაკვეთში ლობიოს სათესად წასულაო. გამრჯე ქალია და ზაფხულის აქ მშვენიერი დღის გაცდენა დაეზარაო. სასოფლო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარეს ჯ. ჩლაიძეს ვთხოვეთ როგორმე მოეყვანათ ამომრჩეველთა კლუბის გამგე, მაგრამ უარი გვითხრა. შორს არის წასული და ძალიან დიდხანს დაგვჭირდება ლოდინიო. ავტომაქანა როცა შევთავაზე, თავმჯდომარეს ოინი არ გაუვიდა და კაცი აფრინა. ჟ. ციხისელი რამდენიმე წუთში ადგილზე გაჩნდა.

გადავთვალიერეთ აგიტატორთა მორიგეობის სია. ამ დღეს — 7 ივნისს ორი აგიტატორი იყო გამოყოფილი მორიგედ — შ. ბუხრაშვილი და ე. პეტრიაშვილი. ჩვენი თხოვნით ორივე აგიტატორი მოგვიყვანეს. შ. ბუხრაშვილი ერთ-ერთი ბიბლიოთეკის გამგე და აუუბნო საარჩევნო კომისიის მდივანია. არჩევნებთან დაკავშირებით იგი განთავისუფლებულია თავისი ძირითადი სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისაგან. მას მთელი საარჩევნო კამპანიის ორგანიზება ეკისრა და ასეთ ვითარებაში მისი მორიგე აგიტატორად გამოყოფა ფორმალურია და მეტი არაფერი. მეორე აგიტატორი ე. პეტრიაშვილი ნაწილად ყოფნაშია საარჩევნო დოკუმენტაცია.

ამ ამბავმა ცოტა ადვილად ავიხსნა. ეს ადამიანი ჭაჭანებაც არსად იყო. ნექმეს გადავდექით და ქალი შევნიშნეთ. იგი ნაკვეთში ტრიალებდა. იგი ალმაზნნდა — პარტიის წევრი, სასოფლო საბჭოს დეპუტატი, საკოლმეურნეო ფერმის მოწინავე მწველავი თინა ჯრიქოიძე, დიდსანს ვისაუბრეთ. საზოგადოებრივი მეცხოველეობის განვითარების აქტუალურ საკითხებში კარგად ერკვევა, მაგრამ არჩევნებზე მეტად ბუხდოვანი წარმოდგენა აქვს. რაიონული საბჭოს დეპუტატობის კანდიდატის გვარი და სახელი როგორც ეწერა, ასეთ ადამიანს ... ...

სრული ურთიერთგაგების სულისკვეთებით

პრაღაში გაკეთებული ეკონომიური ურთიერთდახმარების საბჭოს XXVII სესიის შედეგები

სესიამ ყოველმხრივ განიხილა ეკონომიური ურთიერთდახმარების საბჭოს წევრი ქვეყნების თანამშრომლობის შემდგომი გაღრმავებისა და სრულყოფის და სოციალისტური ეკონომიური ინტეგრაციის განვითარების კომპლექსური პროგრამის რეალიზაციის საკითხები. განხილულს აღმასრულებელი კომიტეტის მოხსენება XXVI და XXVII სესიებს შუა პერიოდში ეკონომიური ურთიერთდახმარების საბჭოს საქმიანობის შესახებ. სესიამ განიხილა აგრეთვე ეკონომიური ურთიერთდახმარების საბჭოს შთელი რიგი კომიტეტებისა და მუდმივი კომისიების თანამოსხენებანი კომპლექსური პროგრამის ღონისძიებათა განხორციელების შესახებ.

სესიის შესახებ კომუნიკეში აღნიშნულია, რომ ეკონომიური ურთიერთდახმარების საბჭოს წევრი ქვეყნები ყოველ ღონის ხმარობენ სოციალისტურ სახელმწიფოთა შემდგომი შეკავშირებისათვის, ყოველმხრივი ძმური კავშირურთიერთობის განმტკიცებისა და გაფართოებისათვის.

თავიანთი კომუნისტური და მუშათა პარტიების ხელმძღვანელობით მშრომელთა ღონისძიებების. მთელი საშინაო მატერიალური და ფინანსური რესურსების მობილიზაციის, ფართო ეკონომიური და მეცნიერულ-ტექნიკური თანამშრომლობის მეთხებით ეკონომიური ურთიერთდახმარების საბჭოს წევრმა ქვეყნებმა, რომლებიც წარმატებით ასრულებენ სახალხო-სამეურნეო გეგმებს, 1972 წელს, ისევე როგორც წინა წლებში, მოიპოვეს ახალი წარმატებანი თავიანთი სახალხო მეურნეობის შემდგომ განვითარებაში, ეკონომიური ურთიერთდახმარების საბჭოს წევრი ქვეყნების ეკონომიური ძლიერებისა და პოლიტიკური ერთიანობის განმტკიცებაში.

ეროვნული შემოსავალი 1972 წელს მთლიანად ეკონომიური ურთიერთდახმარების საბჭოს წევრ ქვეყნებში 1970 წელთან შედარებით გაიზარდა 11,6 პროცენტით. სამრეწველო წარმოების მატებამ ამ ბოლო ორი წლის მანძილზე მთლიანად ეკონომიური ურთიერთდახმარების საბჭოს წევრ ქვეყნებში შეადგინა 15 პროცენტზე მეტი, შაშინ როცა განვითარებულ კაპიტალისტურ ქვეყნებში ეს 8,8 პროცენტს უდრიდა. უზრუნველყოფილია ეკონომიური ურთიერთდახმარების საბჭოს წევრი ქვეყნების საგარეო-სავაჭრო ბრუნვა მსოფლიოს ყველა ქვეყანასთან: ვაჭრობაში 1971 წელთან შედარებით გაიზარდა 10,4 პროცენტით, ხოლო ურთიერთსაქონლებრუნვა — 10,2 პროცენტით.

სესიამ კმაყოფილებით დაადასტურა, რომ ეკონომიური ურთიერთდახმარების საბჭოს წევრი ქვეყნების აქტიური სამშვიდობო პოლიტიკა, რომელიც მიზნად ისახავს საერთაშორისო ურთიერთობაში მშვიდობიანი თანაარსებობის ლენინური პრინციპების დამკვიდრებას, საერთაშორისო დაძაბულობის შენელებას, ქმნის პირობებს, რომ კიდევ უფრო გაფართოვდეს ურთიერთხელსაყარელი ეკონომიური მეცნიერულ-ტექნიკური კავშირურთიერთობა სხვადასხვა სოციალურ-ეკონომიური წყობილებ ი ს სახელმწიფოთა შორის, განსაკუთრებით ევროპაში. ეკონომიური ურთიერთდახმარების საბჭოს წევრი ქვეყნები კვლავ ადასტურებენ, რომ მზად არიან განავითარონ ეკონომიური კავშირურთიერთობა სხვა ქვეყნებთან მათი საზოგადოებრივი და სახელმწიფო წყობილების მიუხედავად თანასწორობის, ურთიერთსარგებლიანობისა და საშინაო საქმეებში ჩაურევლობის საწყისებზე.

სესიამ აღნიშნა, რომ 1972-1973 წლებში დამტკიცებული პროგრამის შესაბამისად დაიწყო ეკონომიური ურთიერთდახმარების საბჭოს წევრი ქვეყნების ურთიერთვაჭრობა, ეგრეთვე მათი საგარეოეკონომიური კავშირურთიერთობა მსოფლიოს სხვა ქვეყნებთან. ეკონომიური ურთიერთდახმარების საბჭოს წევრი ქვეყნების საერთო საგარეო სავაჭრო ბრუნვამ 1972 წელს მიაღწია 68,4 მილიარდ მანეთს. ეკონომიური ურთიერთდახმარების საბჭოს წევრი ქვეყნების საგარეო-სავაჭრო ბრუნვა მსოფლიოს ყველა ქვეყანასთან ვაჭრობაში 1971 წელთან შედარებით გაიზარდა 10,4 პროცენტით, ხოლო ურთიერთსაქონლებრუნვა — 10,2 პროცენტით.

სესიამ ბოლოს განიხილა ეკონომიური ურთიერთდახმარების საბჭოს მეცნიერული-ტექნიკური ინფორმაციის ინსტიტუტის ანგარიში. ეკონომიური ურთიერთდახმარების საბჭოს ინფორმაციის ინსტიტუტი ეკონომიური ურთიერთდახმარების საბჭოს ორგანოებში ეკონომიური პოლიტიკის ძირითად საკითხებზე.

